საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE AGENCY

KA030470102510312

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/77255

10 / დეკემბერი / 2012 წ.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური
დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ამირან დათეშიძეს

ბატონო ამირან,

გეგზავნებათ, „ზოგიერთი კატეგორიის ოჯახისათვის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის N454 დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 29 ნოემბრის N01-321/ო ბრძანებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის 2012 წლის 6 დეკემბრის N2 ოქმის დამოწმებული ასლი, დანართით.

აქვე გაცნობებთ, რომ ოქმის დანართ N1–ში ცალკე ფაილად დამატებულია "სახელმწიფო და კერძო ფართებში" მყოფი, სპეციალური ფორმის კითხვარის საშუალებით აღრიცხული ოჯახების სრულ სია (2302 ოჯახი).

დანართი: ოქმი N2–ის დამოწმებული ასლი, ოქმის დანართი N1 (CD დისკი)

პატივისცემით,

მამუკა გელოვანი

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო,
სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„ზოგიერთი კატეგორიის ოჯახისათვის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის N454 დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 29 ნოემბრის N01-321/ო ბრძანებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. თბილისი **06.12.2012წ.**

<u>კომისიის თავმჯდომარე</u> **ირაკლი ნადარეიშვილი**

<u>კომისიის მდივანი</u> **მარინა მუჯირიშვილი**

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. გოგი ფაცაცია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილე, **კომისიის წევრი;**
2. მურად აბლოთია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი, **კომისიის წევრი;**
3. ზვიად ზვიადაძე	რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ა/რ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი, **კომისიის წევრი;**
4. ალექსანდრე ბარამიძე	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, **კომისიის წევრი;**
5. ამირანდათეშიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის მ/შ, **კომისიის წევრი;**
6. მამუკა გელოვანი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის მ/შ, **კომისიის წევრი;**
7. ირაკლი შენგელია	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მობილური ჯგუფის (დეპარტამენტი) უფროსი, **კომისიის წევრი.**

კომისის სხდომას არ ესწრებოდა:

დავით ებრალიძე – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;**

დავით კორახაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, იურიდიული სამმართველოს უფროსი, **კომისიის წევრი;**

კომისიის სხდომას ესწრებოდა:

დავით გუბელიძე – სოციალური მომსახურების სააგენტოს საინფორმაციო ბანკის მართვისა და სტატისტიკური ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, **მოწვეული პირი.**

ზვიად ოქროპირიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილე, **მოწვეული პირი.**

სხდომის ჩატარების თარიღი და დრო: **2012 წლის 11 დეკემბერი, 17:00 საათი**

სხდომის ჩატარების ადგილი: **ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 144ა**

დღის წესრიგი:

1. „ზოგიერთი კატეგორიის ოჯახისათვის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის N454 დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 29 ნოემბრის N01-321/ო ბრძანებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის 2012 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვა.

მოისმინეს:

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მხრიდან საინფორმაციო ბანკის მართვისა და სტატისტიკური ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის – დავით გუბელიძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც:

2012 წლის 29 ნოემბრს ჩატარებულ უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ფინანსთა სამინისტროდან ელექტრონული სახით დაზუსტებული ინფორმაციის მიღების შემდგომ, მონაცემების დამუშავების შედეგად, **64 (სამოცდაოთხი)** ოჯახიდან სავარაუდო ბენეფიციართა სიამ შეადგინა **17 (ჩვიდმეტი)** ოჯახი.

გადაწყვიტეს:

1. **17 (ჩვიდმეტი)** ოჯახის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაცია, განთავსებული CD დისკზე N1 დანართის სახით დაერთოს წინამდებარე ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
2. წინამდებარე ოქმის დანართ N1–ში მითითებულ **17 (ჩვიდმეტი)** ოჯახზე სოციალური დახმარების გაცემა განხორციელდეს დახმარების მაძიებელი ოჯახის უფლებამოსილი (საკონტაქტო) პირის მიერ წინამდებარე ოქმის დანართი N1–ით განსაზღვრული განცხადების ფორმით სააგენტოში მომართვის შემთხვევაში.
3. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ (მ. გელოვანი), უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის მე–2 პუნქტით განსაზღვრული ოჯახების ინფორმირება კომისიის მიერ მიღებული წინამდებარე გადაწყვეტილების შესახებ.

თავმჯდომარე **ირაკლი ნადარეიშვილი**

მდივანი **მარინა მუჯირიშვილი**

<u>კომისიის წევრები</u>

გოგი ფაცაცია **ალექსანდრე ბარამიძე**

მურად აბლოთია **მამუკა გელოვანი**

ზვიად ზვიადაძე **ირაკლი შენგელია**

ამირან დათეშიძე

KA030410042811712

№ 04-18290 **05 / დეკემბერი / 2012 წ.**

სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ მამუკა გელოვანს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო მამუკა,

მოგეხსენებათ, რომ "კერძო და/ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართებში უკანონოდ მყოფ პირთა აღრიცხვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ოქტომბრის N1915 განკარგულების ფარგლებში აღრიცხული 2302 ოჯახიდან "ზოგიერთი კატეგორიის ოჯახისათვის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის N454 დადგენილების შესაბამისად მონაცემების დამუშავების პროცესში, ინფორმაციის არასრულყოფილების გამო ვერ იქნა განხილული 64 ოჯახის მონაცემები.

აღნიშნული ოჯახების წევრთა მონაცემები ხელახლა იქნა გაგზავნილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. ფინანსთა სამინისტროდან ელექტრონული სახით დაზუსტებული ინფორმაციის მიღების შემდგომ, განხორციელდა მონაცემების დამუშავება. შედეგად, ზემოთ ხსენებული 64 ოჯახიდან 17–მა დააკმაყოფილა N454 დადგენილებით დამტკიცემული „ზოგიერთი კატეგორიის ოჯახისათვის სოციალური დახმარების გაცემის წესით" გათვალისწინებული პირობები და შესაბამისად მოიპოვა უწყებათაშორის კომისიაზე განსახილავად გატანის უფლება.

ელექტრონული სახით, წარმოგიდგენთ აღნიშნული 17 ოჯახის სიას.

პატივისცემით,

საინფორმაციო ბანკის მართვისა და
სტატისტიკური ანალიზის დეპარტამენტი,
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

დავით გუბელიძე

„ზოგიერთი კატეგორიის ოჯახისათვის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის N454 დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 29 ნოემბრის N01-321/ო ბრძანებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის სხდომის

ოქმი N1

ქ. თბილისი 29.11.2012წ.

<u>კომისიის თავმჯდომარე</u>	ირაკლი ნადარეიშვილი
<u>კომისიის მდივანი</u>	მარინა მუჯირიშვილი
<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>	
1. დავით ეზრალიძე	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
2. გოგი ფაცაცია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;
3. მურად აბლოთია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლ ,ილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
4. დავით კორახაშვილი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, იურიდიული სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;
5. ზვიად ზვიადაძე	რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ა/რ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
6. ალექსანდრე ბარამიძე	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;
7. ამირან დათეშიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის მ/შ, კომისიის წევრი;
8. მამუკა გელოვანი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" დირექტორის მ/შ, კომისიის წევრი.

კომისის სხდომას არ ესწრებოდა:

ირაკლი შენგელია – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მობილური ჯგუფის (დეპარტამენტი) უფროსი, კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას ესწრებოდა:

აკაკი დანელია – სოციალური მომსახურების სააგენტოს საინფორმაციო ბანკის მართვისა და სტატისტიკური ანალიზის დეპარტამენტის უფროსი, მოწვეული პირი.

სხდომის ჩატარების თარიღი და დრო: 2012 წლის 29 ნოემბერი, 17:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 144

დღის წესრიგი:

1. კონკრეტული ოჯახებისთვის სოციალური დახმარების დახმარების დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, „კერძო და/ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართობებში უკანონოდ მყოფ პირთა აღრიცხვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ოქტომბრის N1915 განკარგულების მე–2 და მე–4 პუნქტების შესაბამისად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვა.

მოისმინეს:

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" მხრიდან საინფორმაციო ბანკის მართვისა და სტატისტიკური ანალიზის დეპარტამენტის უფროსის – აკაკი დანელიას მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც:

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 2 ნოემბრის N01-299/ო ბრძანებით დამტკიცდა "ოჯახების საჭიროების შესწავლის კითხვარი". ოჯახის აღრიცხვა წარმოებდა ნებაყოფლობით, ოჯახის დროებითი საცხოვრისის (დაკავებული ფართი) ადგილზე ინტერვიუერის ვიზიტის მეშვეობით. შევსებული კითხვარების ელექტრონულ ფორმატში გადატანის მიზნით შეიქმნა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

დღეს მდგომარეობით ელექტრონულ ბაზაში განთავსებულია 2355 კითხვარი. მონაცემთა ბაზის დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ 53 კითხვარი წარმოადგენდა

დუბლირებულ ოჯახს ბაზაში. შესაბამისად შემდგომი დამუშავებისა და ანალიზისთვის მომზადდა 2302 ოჯახის შესახებ მონაცემები. მათ შორის ქალაქ თბილისში 2103 (91.4%) ოჯახი, ქალაქ რუსთავში– 57 ოჯახი (2.5%), ხოლო ქალაქ ზუგდიდში–142 ოჯახი (6.2 %).

„ზოგიერთი კატეგორიის ოჯახისათვის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის N454 დადგენილების შესაბამისად ბაზაში დარეგისტრიებული პირების შესახებ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან მოპოვებული იქნა შემდეგი ინფორმაცია:

ა) ოჯახის ერთი წევრი მაინცცხოვრობს (არის რეგისტრირებული) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში ან დევნილთა იმ კერძო განსახლების ობიექტებში, რომლებსაც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტის სტატუსი მოეხსნათ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის 1[1] მუხლის „ი" და „კ" ქვეპუნქტების საფუძველზე (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით);

ბ) ოჯახის ერთ წევრს მაინც სახელმწიფოსაგან ან კერძო ინვესტორისაგან მიღებული აქვს ფულადი კომპენსაცია საცხოვრებელი ფართობის სანაცვლოდ, ან ოჯახის ერთ წევრს მაინც პრივატიზების პირდაპირი მიყიდვის ფორმით აქვს დაკანონებული საცხოვრებელი ფართობი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით);

გ) სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ოჯახის ერთ წევრზე მაინც არის რეგისტრირებული საცხოვრებელი ფართობი (ბინა);

დ) ოჯახის ყველა წევრის ერთობლივი შემოსავალი საშუალოდ, თვეში, 2012 წლის განმავლობაში, მეტია ან ტოლი 193 ლარზე. ერთობლივ შემოსავალში არ გაითვალისწინება სააგენტოს მიერ ადმინისტრიებადი შემდეგი სოციალური დახმარებები: საარსებო შემწეობა, მინდობით აღზრდის ანაზღაურება, რეინტეგრაციის შემწეობა და დევნილის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობა.

2012 წლის განმავლობაში ოჯახის საშუალო შემოსავალის გაანგარიშებისათვის გამოყენებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია და სოციალური მომსახურების სააგენტოში დაცული ინფორმაცია პირის მიერ მიღებული შემოსავლის შესახებ გარდა, საარსებო შემწეობისა, მინდობით აღზრდის ანაზღაურებისა, რეინტეგრაციის შემწეობისა და დევნილის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობისა.

ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია შედგებოდა სახელმწიფო ხაზინისა და შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემებისაგან. მომხსენებელმა ა. დანელიამ აღნიშნა, რომ ზეპირი განმარტებით მიღებული იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული მონაცემები შეადგენდა მოცემულ პირზე თანხის დარიცხულ ოდენობას. შესამაბისად გაანგარიშების დროს პირის შემოსავლად

31.11.12

ჩათვლილ იქნა აღნიშნული თანხის 80 პროცენტი. ასევე პირის შემოსავლების შესახებ სახელმწიფო ხაზინის ინფორმაცია შეადგენდა 11 თვის მონაცემებს, ხოლო შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია 9 თვის მონაცემებს. გამომდინარე აქედან აღნიშნული ინფორმაციიდან პირის საშუალო შემოსავალი თვეში სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ინფორმაციისთვის განსაზღვრულ იქნა მოწოდებული მონაცემების 11–ზე გაყოფით, ხოლო შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციისთვის შესაბამისად 9–ზე გაყოფით.

„ზოგიერთი კატეგორიის ოჯახისათვის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის N454 დადგენილების შესაბამისად ოჯახი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ ა; ბ; გ; დ პუნქტებს არ იქნა განხილული როგორც, ზოგიერთი კატეგორიის ოჯახისათვის სოციალური დახმარების მიმღები ბენეფიციარობის კანდიდატი.

მონაცემთა ბაზის დამუშავების პროცესში 2 302 (ორიათას სამას ორი) ოჯახის მონაცემებიდან ინფორმაციის არასრულყოფილების გამო ვერ იქნა განხილული 64 (სამოცდათხი) ოჯახის მონაცემები.

დარჩენილი 2238 (ორიათას ორას ოცდათვრამეტი) ოჯახიდან "საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის N454" დადგენილების მეორე მუხლის პირველი პუნქტის ქვეპუნქტების შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით ოჯახების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: ა) ქვეპუნქტი – 560 (ხუთას სამოცი) ოჯახი; დარჩენილი ოჯახებიდან ბ) ქვეპუნქტი – 60 (სამოცი) ოჯახი; დარჩენილი ოჯახებიდან გ) ქვეპუნქტი – 87 (ოთხმოცდაშვიდი) ოჯახი; დარჩენილი ოჯახებიდან დ) ქვეპუნქტი – 353 (სამას ორმოცდაცამეტი) ოჯახი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდო ბენეფიციართა სიამ შეადგინა 1178 (ათას ას სამოცდათვრამეტი) ოჯახი.

ასევე, განსახილველად წარდგენილ იქნა მაძიებელი ოჯახის უფლებამოსილი (საკონტაქტო) პირის მხრიდან წარმოსადგენი განცხადების ნიმუში.

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნეს დახმარების მაძიებელი ოჯახის უფლებამოსილი (საკონტაქტო) პირის მხრიდან წარმოსადგენი განცხადების ნიმუში (დანართი N1 – განცხადების ფორმა).
2. 2 302 (ორიათას სამას ორი) ოჯახის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაცია (ცალკე ფაილად), განთავსებული CD დისკზე N2 დანართის სახით დაერთოს წინამდებარე ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
3. 1178 (ათას ას სამოცდათვრამეტი) ოჯახის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაცია (ცალკე ფაილად), განთავსებული CD დისკზე N2 დანართის სახით დაერთოს წინამდებარე ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
4. წინამდებარე ოქმის დანართ N2–ში მითითებულ 1178 (ათას ას სამოცდათვრამეტი) ოჯახზე სოციალური დახმარების გაცემა განხორციელდეს დახმარების მაძიებელი ოჯახის

უფლებამოსილი (საკონტაქტო) პირის მიერ წინამდებარე ოქმის დანართი N1–ით განსაზღვრული განცხადების ფორმით სააგენტოში მომართვის შემთხვევაში.

5. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ" (მ. გელოვანი), უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის მე–3 პუნქტით განსაზღვრული ოჯახების ინფორმირება კომისიის მიერ მიღებული წინამდებარე გადაწყვეტილების შესახებ.

6. 64 (სამოცდათხი) ოჯახის მონაცემების განხილვა მოხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაციის შემდეგ.

თავმჯდომარე — ირაკლი ნადარეიშვილი

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე — დავით ეზრალიძე

მდივანი — მარინა მუჯირიშვილი

<u>კომისიის წევრები</u>

გოგი ფაცაცია — დავით კორახაშვილი

მურად აბლოთია — ალექსანდრე ბარამიძე

ზვიად ზვიადაძე — მამუკა გელოვანი

ამირან დათეშიძე